ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი

შუალედური ანგარიში

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

პრესის მონიტორინგის

შუალედური ანგარიში

18 ივნისი - 15 ოქტომბერი

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი
CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

თბილისი, 2018

პროექტის შესახებ: „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, აკვირდება ქართული ბეჭდური მედიის მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2018 წლის 18 ივნისს და დასრულდება 2018 წლის ნოემბერში.

დაკვირვება ხორციელდება შემდეგ გამოცემებზე: „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ქრონიკა +“, „კვირის პალიტრა“, „საქართველო და მსოფლიო“.

კვლევის მეთოდოლოგია: მედიამონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდება როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რა სიხშირით შუქდება ესა თუ ის სუბიექტი შერჩეულ მედიასაშუალებაში და თუ რა ტონით შუქდება აღნიშნული სუბიექტი. თვისებრივი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რამდენად იცავს შერჩეული მედიასაშუალება ჟურსალიტური ეთიკის ნორმებს, როგორებიც არის: გადამოწმებული და დაზუსტებული ფაქტების გაშუქება, ჟურნლისტის ტერმინოლოგია, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, საკითხების გონივრული ბალანსის დაცვით გაშუქება, ვიზუალური, აუდიო, ან რაიმე სხვა სახის მანიპულაცია, ჟურნალისტთა მხირიდან ფაქტებით გამყარებული მსჯელობა და დასკვნები და ა.შ. მონიტორინგი ხორციელდებოდა ყველა შერჩეული მედიასაშუალების ყველა სტატიაზე მონიტორინგის დაწყების დღიდან მის დასრულებამდე.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი **ძირითადი მიგნებები**:

- მონიტორინგისთვის შერჩეული ბეჭდური გამოცემების აბსოლუტურ უმრავლესობაში გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების სხვადასხვა სახის დარღვევები;
- გამოცემების უმრავლესობაში შეინიშნება ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. შედეგად, პოლიტიკოსთა გაშუქება ხშირ შემთხვევაში ხდება არა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ მიზანმიმართული დისკრედიტაციის სახით;
- ქართული პრესის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაციის სისტემატური გავრცელება. პრესის ჟურნალისტები არ ერიდებიან ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების მიმართ უმძიმესი ბრალდებების გავრცელებას შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე;
- სისტემატურად გვხვდება მძიმე ბრალდებები რესპონდენტთა ტექსტებში, რომელთა სათანადო გადამოწმებას პრესის ჟურნალისტები არ ცდილობენ. შედეგად, პრესის

მკითხველი ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეცნობა ცალმხრივად, საპირისპირო მოსაზრებებისა თუ არგუმენტების წარმოდგენის გარეშე;

- პრესის ჟურნალისტები სათანადოდ კრიტიკულები არ არიან რესპონდენტთა განცხადებების მიმართ. მონიტორინგის პერიოდში სისტემატურად გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც რესპონდენტის მიერ გავრცელებულ მძიმე ბრალდებებს ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების მიმართ ჟურნალისტები ეთანხმებოდნენ როგორც უტყუარ ფაქტებს და არ სვამდნენ დამატებით შეკითხვებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორის დადასტურების მიზნით;
- ქართული პრესის ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ჟურნალისტთა ტექსტებში. მონიტორინგისთვის შერჩეულ არაერთ გამოცემაში სისტემატურად გვხვდებოდა უაღრესად მძიმე შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია ამა თუ იმ პოლიტიკოსის გაშუქებისას;
- გარდა ჟურნალისტთა ტქესტებისა, შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ხშირად გვვხდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში. აღსანიშნავია, რომ პრესის ჟურნალისტები არ ცდილობდნენ რესპონდენტთა შეურაცხმყოფელი განცხადებებისგან გამიჯვნას. მეტიც, ხშირ შემთხვევებში სტატიების სათაურად გვხვდება რესპონდენტთა განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელი განცხადებები ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ;
- პრესის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ინფორმაციის წყაროთა ნაკლებობა ცალკეულ სტატიებში. სტატიების უმრავლესობა მზადდება ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით, რაც არ აძლევს მკითხველს საშუალებას, რომ გაეცნოს განსხვავებულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ;
- არაერთ გამოცემაში გვხვდება ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყდნობით მომზადებული სტატიები. აღნიშნული პრობლემა მწვავდება, როდესაც სტატიაში ვრცელდება მძიმე ბრალდებები ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების მიმართ;
- არაერთ გამოცემაში შეინიშნება ცალკეული პირების, მათ შორის, პრეზიდენტობის კანდიდატების, სისტემატური, მიზანმიმართული კრიტიკა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული გამოცემების მიზანი არის არა ამ პირთა შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, არამედ მათი რეპუტაციისა და ღირსების შელახვა;
- მონიტორინგისთვის შერჩეულ არაერთ გამოცემაში შეინიშნება კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. აუცილებელია, რომ გამოცემამ სათანადოდ, მკითხველისთვის მარტივად გასაგებად, მიუთითოს ისეთ სტატიებს, რომლებიც მომზადებულია გარკვეული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში და რომლებიც არ წარმოადგენს სარედაქციო ნამუშევარს;
- მონიტორინგისთვის შერჩეული გამოცემების დიდ ნაწილში საერთოდ არ გვხვდება პრეზიდენტობის კანდიდატთა ხედვებისა და საარჩევნო დაპირებების ობიექტური, დასაბუთებული ანალიზი. გაზეთების ნაწილი პრეზიდენტობის კანდიდატთა უკიდურესად არაობიექტური და ცალმხრივი გაშუქებით გამოირჩევა. ხშირად

გვხვდება კანდიდატთა მიმართ ცალმხრივი კრიტიკა, პიროვნული შეურაცხყოფა და დაუსაბუთებელი ბრალდებები.

რეზონანსი

მონიტორინგის პერიოდში „რეზონანსში“ არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები სალომე ზურაბიშვილის გაშუქებისას. სტატიები უმეტესად ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით მზადდებოდა, თუმცა, შეგვხვდა დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების არაერთი შემთხვევა. ასევე, გამოცემაში სარეკლამო სტატიები მკაფიოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

„რეზონანსში“ ყველაზე აქტიურად მთავრობისა (32%) და „ქართული ოცნების“ (27%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას გამოვლინდა (60%). დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაცვენებლები მონიტორინგის სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ გამოვლენილა. პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას ჭარბობდა ნეიტრალური ტონის მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „რეზონანსის“ მიერ ყველაზე აქტიურად გაშუქებულ პრეზიდენტობის კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილს (40%), ერგო. მის მიმართ უარყოფითი ტონი ძირითადად რესპონდენტთა განცხადებებში გვხვდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ „რეზონანსის“ სტატიების დიდი ნაწილი ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით არის მომზადებული, გამოცემაში შეგვხვდა დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების არაერთი შემთხვევა. მაგალითად, 25 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბახტაძის ბიოგრაფიიდან „ცენტრ პოინტში“ მუშაობის წლები ამოშლილია“ (გვ. 2) გვხვდება უმძიმესი ბრალდებები პრემიერ-მინისტრის მიმართ, რომლებიც არ არის გამყარებული შესაბამისი ფაქტებით. სტატიაში ინფორმაციის წყაროდ წარმოდგენილია ტელეკომპანია „რუსთავი 2“, თუმცა, არ ჩანს თუ საიდან ჰქონდა აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული თავად „რუსთავი 2“-ს. ასევე, სტატიაში არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, რომ წარმოადგინოს აღნიშნული ბრალდებების შესაბამისი მტკიცებულება. „რეზონანსში“ ასევე გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც სტატიაში არ ჩანდა რესპონდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმების მცდელობა ჟურნალისტთა მხრიდან. მაგალითად, 21 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „იგეგმება ეროვნული გამოცდების გაუქმება“ - ლევან ხაბეიშვილი“ (გვ. 12) რესპონდენტი გამოთქვამს მძიმე ბრალდებებს ხელისუფლების მიმართ, რადგან, მისი თქმით, საქართველოში იგეგმება ეროვნული გამოცდების გაუქმება. სტატიაში არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, რომ რომელიმე სახელმწიფო უწყებაში გადაამოწმოს აღნიშული ინფორმაციის სისწორე.

„რეზონანსში“ სარეკლამო სტატიები სათანადოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან. 31 აგვისტოს „რეზონანსში“ სარეკლამო მითითების გარეშე გამოქვეყნდა

სტატია „ნიკოლოზ გაგუა: საქართველოს ეკონომიკის ზრდა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადია რეგიონში“, რომელიც ანალოგიური ტექსტით, ანალოგიური სათაურითა და თანდრათული ფოტოსურათით გამოქვეყნდა მონიტორინგისთვის შერჩეულ სხვა მედიასაშუალებებშიც (გაზეთი „ახალი თაობა“; ვებსაიტები ipress.ge და interpressnews.ge). აღსანიშნავია, რომ ვებსაიტზე interpressnews.ge იგივე სტატია გამოქვეყნდა სარეკლამო მინიშნებით.





კვირის პალიტრა

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის პალიტრაში“ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებელი როგორც მმართველი გუნდისა და მათ მიერ მხარდაჭერილი კპრეზიდენტობის კანდიდატის, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. პოლიტიკური პროცესების გაშუქება უმეტესად ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „კვირის პალიტრაში“ საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა ერთი კონკრეტული მინისტრის, თეა წულუკიანის კრიტიკა. აღნიშნულ სტატიებში არაერთხელ შეგვხვდა ცალმხრივი და დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელების შემთხვევები.

„კვირის პალიტრაში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (34%) და მთავრობის (26%) საქმიანობა გაშუქდა. ორივე აღნიშნული სუბიექტის გაშუქებისას ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები. მონიტორინგის სუბიექტებს შორის უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (68%) გაშუქებისას გამოვლინდა. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას „კვირის პალიტრაში“ უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა სალომე ზურაბიშვილისა (37%) და გრიგოლ ვაშაძის (33%) გაშუქებისას.

„კვირის პალიტრაში“ სისტემატურად გვხვდება იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის, კრიტიკა. აღნიშნული კრიტიკა წარმოდგენილია ცალმხრივად, ხშირად ისმის დაუსაბუთებელი ბრალდებები და არ ჩანს ჟურნალისტთა მცდელობა განსხვავებული მოსაზრებების წარმოდგენისა აღნიშნული ბრალდებების საპასუხოდ (მაგალითად, სტატიებში: „წულუკიანი მისივე „რეფორმირებული“ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს?!“, 18-24 ივნისი, გვ. 6; „თეა წულუკიანი სკამის შესანარჩუნებლად ბევრ რამეზეა წამსვლელი“, 25 ივნისი - 1 ივლისი, გვ. 6; „წულუკიანი თვითონ ხელისუფლებისთვის იქნება კომპრომატი“, 16-22 ივლისი, გვ. 6-7; „თქვენი ქონება რეესტრში აბსოლუტურად დაუცველია“, 9-15 ივლისი, გვ. 10-11; „ლია მუხაშავრია: „დღეს სასამართლო „კოზა ნოსტრას“ პრინციპით იმართება“, 13-19 აგვისტო, გვ. 7). აღნიშნულ სტატიებში რესპონდენტთა ბრალდებებისა და კრიტიკის ცალმხირვად წარმოდგენის გარდა, თავად ჟურნალისტთა ტექსტებშიც სისტემატურად შეინიშნება ცალსახად უარყოფითი განწყობა მინისტრის მიმართ.





ასავალ-დასავალი

მონიტორინგის პერიოდში „ასავალ-დასავალში“ სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უკიდურესად უხეში დარღვევის

შემთხვევები. ჟურნალისტთა ტექსტებში ხშირად გვხვდებოდა დაუდასტურებელი ინფორმაცია და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია. გაზეთი განსაკუთრებით დიდ ფართობს უთმობს ისეთ რესპონდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელებითა და მძიმე შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, „ასავალ-დასავალში“ ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები როგორც სახელისუფლებო გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების გაშუქებისას. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (87%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (87%), „ევროპული საქართველოსა“ (84%) და საქართველოს პრეზიდენტის (81%) გაშუქებისას. პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გრიგოლ ვაშაძის (87%), დავით ბაქრაძისა (71%) და ზურაბ ჯაფარიძის (71%) გაშუქებისას გამოვლინდა. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი თბილისის მერიისა და მერის გაშუქებისას გამოვლინდა (55%).

„ასავალ-დასავალში“ სისტემატურად გხვდებოდა უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტერმინლოგია ჟურნალისტთა ტექსტებში; მაგალითად: „ნიკა გვარამიამ და ნაცსექტის წარმომადგენლებმა მწარე წიწაკა არათუ შეჭამონ, არამედ უკანალშიც რომ ამოისვან, გრიგოლ ვაშაძე-ანანიაშვილისა საქართველოს პრეზიდენტი მაინც ვერ გახდება.“ (*„ქაქს ჭამენ, წიწაკას აყოლებენ!“*, 24-30 სექტემბერი, გვ. 11). ხშირად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია რესპონდენტთა განცხადებებშიც. ასეთი ინტერვიუების დროს „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები რესპონდენტთა შეურაცმყოფელი განცხადებებისა და დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან გამიჯვნის ნაცვლად, უმეტეს შემთხვევებში, თავად ერთვებოდნენ აღნიშნული სტილის დისკუსიაში. მაგალითად, სტატიაში „მე მხარს ვუჭერ სალომე ზურაბიშვილს!“ (15-21 ოქტომბერი, გვ. 18) რესპონდენტის განცხადებას „გრიგოლ ვაშაძე არის იმ სისხლიანი ბანდის წარმომადგენელი, რომელიც შვილების თვალწინ მამებს აუპატიურებდა და კაცების თვალწინ - მეუღლეებს!“ არ მოჰყოლია ჟურნალისტის მხრიდან სათანადო რეაქცია.

პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას „ასავალ-დასავალში“ შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა ყველა კანდიდატის მიმართ. გაზეთის ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ შეურაცხმყოფელ და დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას კანდიდატთა გაშუქებისას. რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სალომე ზურაბიშვილის გაშუქებისას გამოვლინდა, თუმცა აღნიშნული კანდიდატის გაშუქებაც ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევით ხდებოდა. მაგალითად: „ხალხში „პარიჟანკად“ მონათლული ქალბატონი სალომეს ლიბერასტული მიდრეკილებებისა და შეხედულებების შესახებ საქართველოში ბავშვმაც კი იცის, მაგრამ ეს „ანალისტები“ მაინც აშკარად ნამეტანია! ახლა, მთელი საქართველო ზის და ფიქრობს, სალომეს მიერ ნათქვამი ეს „ანალისტები“ რას ნიშნავს - ანალურ ხვრელში შემძვრალებს თუ ანალური ხვრელიდან გამომძვრალებს?!“ („რას ნიშნავს „ანალისტები“, 13-19 აგვისტო, გვ. 19).





ალია

მონიტორინგის პერიოდში „ალიაში“ შენინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების მიმართ. გაზეთში

სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უკიდურესად მძიმე დარღვევის შემთხვევები. „ალიას“ ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსთა გაშუქებისას. სისტემატურად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები.

„ალიაში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (35%) და მთავრობის (20%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ყველა პოლიტიკური პარტიის გაშუქებისას „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ გარდა. პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას ასევე გამოვლინდა უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. გამონაკლისს წარმოადგენს კანდიდატი სანდრო ბრეგაძე, რომლის გაშუქებისას ჭარბობდა ნეიტრალური და დადებითი ტონის მაჩვენებლები.

„ალიაში“ სისტემატურად გვხვდება შეურაცმყოფელი ტერმინოლოგია და საკმაოდ მძიმე ბრალდებები პოლიტიკოსთა მიმართ, რომლებიც არანაირი შესაბამისი ფაქტებით არ არის გამყარებული. მაგალითად, 6 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაში „რა სკანდალური ამბები გაუმხილეს „ალიას“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის ერთ-ერთ კანდიდატზე?“ ჟურნალისტი წერს: „მარგველაშვილია და - თვითონ თუ არა, მისი ოჯახის წევრების ნაწილი და ოჯახის ახლობლები, მეტადონი რომ არ ჰყოფნით, ზემოდან ჰეროინს იმატებენ, ხარისხიანი „კაიფისთვის“.

პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქება „ალიაში“ უმეტესად კანდიდატთა პიროვნული შეურაცხყოფისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების ფონზე ხდებოდა. განსაკუთრებით მძიმე შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია გვხვდებოდა სალომე ზურაბიშვილის გაშუქებისას. მაგალითად, 23-29 სექტემბრის ნომერში ვრცელი ინტერვიუ, რომელიც სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას ეხებოდა, დასათაურებულია: „ხეპრე, ავყია, უზრდელი, ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქალი, რომელსაც არ უყვარს საქართველო და შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ილტვის პრეზიდენტობისკენ“ (გვ. 19). ასევე, „ალიას“ ჟურნალისტები არ ემიჯნებოდნენ რესპონდენტთა უკიდურესად შეურაცხმყოფელ განცხადებებს აღნიშნული კანდიდატის მიმართ; მაგალითად, 30 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „სერიოზულად ვამბობ! რევოლუციის სუნი მცემს“, ჟურნალისტი არ გაემიჯნა რესპონდენტის, “ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერის, გია კორკოტაშვილის, განცხადებას: „სრული კოლაფსის ფონზე „ქართული ოცნება“ ისეთ საპრეზიდენტო კანდიდატს გვთავაზობს, რომ სადაც არ უნდა გათხარო, გინდა თუ არა, ყველგან სალომეს უნდა გათხარო!“ (გვ. 3).


სუბიექტების გაშუქება "ალია"
ტონის მიხედვით (%)
(18 ივნისი - 15 ოქტომბერი, 2018)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება
4
29
67
მთავრობა
4
31
65
ნაციონალური მოძრაობა
51
47
მიხეილ სააკაშვილი
38
60
ადგილობრივი მთავრობა
40
57
დემოკრატიული მოძრაობა
91
ევროპული საქართველო
73


პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქება
"ალია"
ტონის მიხედვით (%)
(18 ივნისი - 15 ოქტომბერი, 2018)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
სალომე ზურაბიშვილი
19
80
სანდრო ბრეგაძე
90
გრიგოლ ვაშაძე
28
64
ზურაბ ჯაფარიძე
56
43
დავით ბაქრაძე
67

ახალი თაობა

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ახალ თაობაში“ არ შეინიშნებოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. თუმცა, გამოცემაში არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები. გვხვდებოდა მოვლენების ცალმხრივი გაშუქება, დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და გადაუმოწმებელი ფაქტების გავრცელება.

„ახალ თაობაში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (39%) და მთავრობის (21%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოვლინდა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსა“ (60%) და „ქართული ოცნების“ (40%) გაშუქებისას. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის სხვა სუბიექტების მიმართ არ გამოვლენილა. პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებისას ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები.

„ახალ თაობაში“ ხშირად გვხვდებოდა ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებული სტატიები, რომლებში წარმოდგენილი ბრალდებები ამა თუ იმ პირის მიმართ იყო დაუსაბუთებელი და არ ჩანდა ჟურნალისტთა მხრიდან ფაქტების გადამოწმების მცდელობა. მაგალითად, 6 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „ლევან ხაბეიშვილი: „ხმა თუ არა ამოვიღეთ, ესენი ჩვენც შეგვჭამენ“ (გვ. 2) რესპონდენტის განცხადებას თბილისის მერის მიერ რესტორნებში 20 დღეში ბიუჯეტიდან 45 000 ლარის დახარჯვის შესახებ არ მოჰყოლია ჟურნალისტის მცდელობა, რომ შესაბამისად გადაემოწმებინა აღნიშნული ინფორმაციის სისწორე. „ახალ თაობაში“ ხშირად გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც რესპონდენტთა მიერ გაჟღერებულ მძიმე ბრალდებებს ჟურნალისტები, გადამოწმებისა და დამატებითი მტკიცებულებების მოთხოვნის ნაცვლად, ეთანხმებოდნენ როგორც უტყუარ ფაქტებს. მაგალითად, 28 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „კალაძემ სერგეენკოს ძმა 3.000-ლარიან სამსახურში დაასაქმა“ (გვ. 2) რესპონდენტის განცხადებას ჯანდაცვის მინისტრის ძმის თბილისის მერიაში მაღალანაზღაურებად პოზიციაზე უკონკურსოდ დანიშვნის შესახებ ჟურნალისტის მხრიდან აღნიშნული ფაქტის გადამოწმების ნაცვლად მოჰყვა ჟურნალისტის კომენტარი „აბა, შრომისა და დასაქმების მინისტრის ძმას დაუსაქმებელს ხომ არ დატოვებდნენ“. ასევე, 7 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის წევრები მოისყიდა“ (გვ.2) რესპონდენტის განცხადებას მთავრობის წევრთა მიერ არაკანონიერი გზით მიღებული ანაზღაურებების შესახებ ჟურნალისტი, აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მიღების მცდელობის ნაცლად, რესპონდენტს ეკითხება „შავი სალაროს სიკეთით მარტო მინისტრები სარგებლობენ თუ დეპუტატებიც ნახულობენ ხეირს?“. აუცილებელია, რომ ჟურნალისტები უფრო კრიტიკულად მიუდგნენ რესპოდენტთა მიერ გავრცელებულ მძიმე ბრალდებებს საზოგადოებისთვის ცნობილი პირებისა თუ სახელმწიფო უწყებების მიმართ. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ბრალდებები შეიცავს კანონდარღვევის ფაქტებს.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ახალ თაობაში“ შეგვხვდა შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნებული სარეკლამო სტატია. 31 აგვისტოს სარეკლამო მითითების გარეშე

გამოქვეყნდა სტატია „ნიკოლოზ გაგუა: საქართველოს ეკონომიკის ზრდა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადია რეგიონში“, რომელიც ანალოგიური ტექსტით, ანალოგიური სათაურითა და თანდრათული ფოტოსურათით გამოქვეყნდა მონიტორინგისთვის შერჩეულ სხვა მედიასაშუალებებშიც (გაზეთი „რეზონანსი“; ვებსაიტები ipress.ge და interpressnews.ge). აღსანიშნავია, რომ ვებსაიტზე interpressnews.ge იგივე სტატია გამოქვეყნდა სარეკლამო მინიშნებით.





საქართველო და მსოფლიო

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „საქართველო და მსოფლიოში“ სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებისა და პოლიტიკოსთა გაშუქებისას შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. გაზეთში ცხადად შეინიშნება უკიდურესად უარყოფითი განწყობა პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ.

„საქართველო და მსოფლიოში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (30%) და მთავრობის (23%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგის ყველა სუბიექტის მიმართ გამოვლინდა უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები ერგოთ პრეზიდენტობის კანდიდატებსაც.

„საქართველო და მსოფლიოში“ განსკუთრებულად აქტიურად შუქდება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებული საკითხები და საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების განხილვაც ხშირ შემთხვევებში ნატო-საქართველოს ურთიერთობის ჭრილშია წარმოდგენილი. აღნიშნული საკითხების გაშუქებისას სისტემატურად გვხვდება გადაუმოწმებელი ინფორმაციისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელება ჟურნალისტთა მხირდან. მაგალითად, 18-24 ივლისის ნომერში

გამოქვეყნდა სამი სტატია, *(„საქართველო მათ არ უხსენებიათ...“*, გვ. 4; *„მოსკოვი: საფრანგეთი ხორვატია - 4:2, ჰელსინკი: ტრამპი-პუტინი - ?“*, გვ. 5; *„ტრამპი, რუსეთი და გლობალისტები“*, გვ. 7) სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, ნატოს სამიტის დროს საქართველოს პრეზიდენტის დარბაზიდან გაძევება მოითხოვა: „ბრიუსელის სამიტზე მისულ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ნატოს გენერალური მდივნის - იენს სტოლტენბერგისთვის სამიტზე დამსწრე დელეგაციათა სია მოუთხოვია. და, ამათ აქ რა უნდათო?! - გაჰკვირვებია ტრამპს და ზაალ ბარათაშვილივით თურმე „ქოში უკუღმა ჰყარა“, შემდეგ კი უკრაინის ლოთი და საქართველოს „ქსლის მბეჭველი“ პრეზიდენტები - პეტრე პოროშენკო და გიორგი მარგველაშვილი დარბაზიდან „გაუტანიათ“ (გვ. 5). ისევე როგორც „საქართველო და მსოფლიოს“ სტატიათა უმრავლესობაში, არც ამ სტატიებში ჩანს თუ საიდან აქვს ჟურნალისტს აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული.

მონიტორინგის პერიოდში „საქართველო და მსოფლიოში“ ხშირად გვხვდებოდა პიროვნული შეურაცხყოფა და დაუსაბუთებელი ბრალდებები პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას. მაგალითად, სტატიაში „რა მორალზე უნდა გველაპარაკოს შვილის ნათლიაზე გათხოვილი ქალი?!“ (15 აგვისტო - 4 სექტემბერი, გვ. 7) გვხვდება ბრალდებები პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, მიმართ, რომლებიც არ არის გამყარებული შესაბამისი ფაქტებით. სტატია მთლიანად საპრეზიდენტო კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, დისკრედიტაციას ემსახურება.





ქრონიკა +

მონიტორინგის პერიოდში „ქრონიკა +“-ში ცალსახად შეინიშნებოდა ერთი მხრივ უკიდურესად უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდისა და პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, ხოლო, მეორე მხრივ, უაღრესად დადებითი განწყობა პრეზიდენტობის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის, მიმართ. გაზეთში ხშირად გვხვდებოდა შეურაცმხყოფელი ტერმინოლოგია და დაუდასტურებელი ბრალდებები ხელისუფლების წარმომადგენელთა გაშუქებისას. მმართველის გუნდის მიმართ ხშირად ისმოდა მძიმე ბრალდებები, რომლებიც გამყარებული არ იყო შესაბამისი მტკიცებულებებით.

„ქრონიკა +“-ში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნებისა“ (28%) და მთავრობის (25%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ქართული ოცნებისა“ (72%) და სალომე ზურაბიშვილის (80%) გაშუქებისას. დადებითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კი გრიგოლ ვაშაძეს (78%) ერგო.

„ქრონიკა +“-ის სტატიებში ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მსჯელობა, რომელიც არ იყო გამყარებული შესაბამისი ფაქტებით. მაგალითად, სტატიებში „ვიგინდარა და ხაზინის ქურდი - დიმიტრი ქუმსიშვილს დაიჭერენ?“ (19-25ივნისი, გვ. 2-3); „ქოცთა შიდა ომები“ (9–15 ოქტომბერი, გვ. 22-23); „რა სკანდალური კომპრომატები აქვს წულუკიანს ივანიშვილზე?“ (17-

23 ივლისი, გვ. 10-11) ჟურნალისტთა მიერ წარმოდგენილი იყო უამრავი მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მძიმე ბრალდება მმართველი გუნდის წარმომადგენელთა მიმართ, თუმცა სტატიებში არ ჩანდა თუ საიდან იყო აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული და რამდენად სანდო იყო ის. „ქრონიკა +“-ში ასევე ხშირად გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია მმართველი გუნდის გაშუქებისას; მაგალითად, სტატიის სათაური „ქოცისტანის დედალ-მამალი მზეები“ (24 ივლისი - 6 ოქტომბერი, გვ. 13). „ქრონიკა +“-ში ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი ბრალდებები გვხვდებოდა მათ შეკითხვებშიც რესპონდენტთა მიმართ. მაგალითად, 25 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „სალომე ზურაბიშვილი დარჭობილ ჯოხზე უარესია, რადგან ჯოხი ნულია, ეს - მინუსებშია, ხალხს სძულს“ (გვ. 14-15) რესპონდენტის განცხადებას იმის შესახებ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების შედეგებს „გაალამაზებს“, ჟურნალისტი პასუხობს შეკითხვით „რატომაც არ გაულამაზებს, აგერ აგვისტოში 20 ათასი ლარი აუღია ხელფასად. 20 ათას ლარ ხელფასად სალომე ზურაბიშვილს კი არა, ტუტანხამონს არ გაიყვანს პრეზიდენტად?!“ (გვ. 14).





დასკვნა

მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ ქართული პრესის მწვავე გამოწვევას წარმოადგენს ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უგულებელყოფა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბეჭდური გამოცემების დიდი ნაწილი საერთოდ არ ზრუნავს მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეზე. სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან შესაბამისი ფაქტებით გაუმყარებელი მსჯელობა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება.

გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება სისტემატურად გვხვდება რესპონდენტთა მხრიდანაც. მათ განცხადებებს, რომლებიც ხშირად მძიმე ბრალდებებს შეიცავს ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების მიმართ, ჟურნალისტები რაიმე სახის დადასტურების მოთხოვნის ნაცვლად, უმეტეს შემთხვევებში, ეთანხმებიან როგორც უტყუარ ფაქტებს. თითქმის არ გვხვდება ჟურნალისტთა მცდელობა, რომ რაიმე სახით გადაამოწმონ მათი გაზეთის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავდება, როდესაც გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს მძიმე დანაშაულის ბრალდებებს ამა თუ იმ პირის მიმართ.

აღსანიშნავია ქართულ პრესაში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული განცხადებების სიხშირე. მონიტორინგისთვის შერჩეული არაერთი გაზეთის ჟურნალისტები სისტემატურად

იყენებენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა გაშუქებისას. ხშირია შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია რესპონდენტთა ტექსტებშიც და აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად არასდროს გვხვდება ჟურნალისტთა მცდელობა, რომ გაემიჯნონ რესპონდეტთა უმძიმეს შეურაცხმყოფელ განცხადებებს. მეტიც, ხშირად რესპონდენტთა განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელი განცხადებები წარმოდგენილია სტატიების სათაურებად.

აღნიშნული ტენდეციები ჩანს პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქებისას. ხშირ შემთხვევებში პრეზიდენტობის კანდიდატთა გაშუქება ხდება უმძიმესი პიროვნული შეურაცხყოფისა და დისკრედიტაციის ფონზე. იშვიათად გვხვდება მიუკერძოებელი, დასაბუთებული მსჯელობა ამა თუ იმ კანდიდატის ხედვებისა და გეგმების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ბეჭდური გამოცემების დიდი უმრავლესობა ვერ ახერხებს მკითხველისთვის ობიექტური და მრავალმხრივი ანალიზის მიწოდებას ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესების შესახებ. არ ჩანს გამოცემების მცდელობა, რომ მკითხველს შესთავაზონ განსხვავებული მოსაზრებები სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატის შესახებ.